იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 15 მაისი 2014 წ.

"შ.პ.ს „[illegible]"", საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი: 406108279, მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, მოსკოვის გამზირი №9ა (ნაკვ. 3/37) (შემდგომში: ''მეიჯარე''), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი [illegible] სახით პ/ნ 53001014575

და

სს "სილქნეტი", საიდენტიფიკაციო კოდი 204566978, მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95 (შემდგომში: ''მოიჯარე''), წარმოდგენილი რწმუნებულის ზვიად კიკნაძის პ/ნ 57001006564 სახით

ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

("მეიჯარე" და "მოიჯარე", შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე - როგორც "მხარე")

"ხელშეკრულება" შედგება საერთო პირობების (შემდგომში "საერთო პირობები") და სპეციალური პირობებისგან (შემდგომში "სპეციალური პირობები"). ''სპეციალური პირობები'' ავსებს/აკონკრეტებს ''საერთო პირობებს''. "საერთო პირობებსა" და "სპეციალურ პირობებს" შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება "სპეციალურ პირობებს".

"საერთო პირობები"

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მეიჯარე" გასცემს, ხოლო "მოიჯარე" იღებს დროებით სარგებლობაში უძრავ ქონებას (შემდგომში "იჯარის საგანი"), რომელიც განსაზღვრულია "ხელშეკრულების" "სპეციალური პირობებში".

1.2. "იჯარის საგანი" წარმოადგენს "მეიჯარის" საკუთრებას.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. "ხელშეკრულების" მოქმედების ვადა განისაზღვრება "სპეციალური პირობებით".

3. "მოიჯარის" უფლება-მოვალეობანი

3.1. "მოიჯარე" უფლებამოსილია, გამოიყენოს "იჯარის საგანი" "ხელშეკრულებით" განსაზღვრული მიზნებისათვის და კანონით დადგენილ ფარგლებში.

3.2. "მოიჯარე" ვალდებულია, დაიცვას ყველა საყოფაცხოვრებო და ხანძარსაწინააღმდეგო წესი, განახორციელოს „იჯარის საგნის" მოვლა-პატრონობა, ჰქონდეს იგი სრულ წესრიგში.

3.3. "მოიჯარე" ვალდებულია, მისი ("მოიჯარე") შესაძლებლობის ფარგლებში, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის საგნის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად.

3.4. "მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს "საიჯარო ქირა" (როგორც ეს განსაზღვრულია "ხელშეკრულების" მე-5 მუხლში) "ხელშეკრულების" დებულებათა შესაბამისად.

3.5. "მოიჯარე" ვალდებულია შეინარჩუნოს "იჯარის საგანი" სარგებლობისათვის ნორმალურ მდგომარეობაში (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით) და არ დაუშვას მისი ("მოიჯარე") თანამშრომლების და მასთან ("მოიჯარე") საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ, "იჯარის საგანის" დაზიანება.

3.6. "ხელშეკრულების" შეწყვეტის/მოშლის შემდეგ, "მოიჯარე" ვალდებულია დაუბრუნოს "მეიჯარეს" "იჯარის საგანი" იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მას ("მოიჯარე") გადაეცა "იჯარის საგანი", ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

4. ''მეიჯარის'' უფლება-მოვალეობანი

4.1. "მეიჯარე" უფლებამოსილია მოითხოვოს "საიჯარო ქირის" დროულად გადახდა "ხელშეკრულების" დებულებათა შესაბამისად.

4.2. "მეიჯარე" ვალდებულია გადასცეს "მოიჯარეს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო "იჯარის საგანი" "ხელშეკრულების" ხელმოწერისთანავე, თუ "სპეციალური პირობებით" სხვა რამ არ არის განსაზღვრული და უზრუნველყოს "მოიჯარისათვის" "იჯარის საგნით" ნორმალური სარგებლობა.

4.3. "მეიჯარე" ან მისი კანონიერი უფლებამონაცვლე (მათ შორის - ახალი მეიჯარე) ვალდებულია ითმინოს "იჯარის საგანზე" განთავსებული ავტომატური სატელეფონო სადგურების ან სხვა დანადგარების ექსპლუატაციით გამოწვეული ხმაური (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.4. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ავარიული სიტუაცია, რომელიც არ არის გამოწვეული "მოიჯარის" ბრალეულობით, "მეიჯარე" ვალდებულია დროულად მოახდინოს ასეთი მდგომარეობის გამოსწორება საკუთარი ხარჯებით ან "მოიჯარესთან" შეთანხმებით, დაზიანების გამოსწორება შეიძლება მოხდეს "მოიჯარის" მიერ, რაც შემდგომ ასახული იქნება "საიჯარო ქირის" გადახდის პირობაზე, შესაბამისი ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. საიჯარო ქირა და გადახდის პირობები

5.1. "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ყოველთვიური საიჯარო ქირა (შემდგომში "საიჯარო ქირა'') მოცემულია ''სპეციალურ პირობებში''.

5.2. "საიჯარო ქირა" არ მოიცავს "მოიჯარის" მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს. „მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ელ.ენერგიის ღირებულება (სპეციალური პირობის შესაბამისად).

5.3. "ხელშეკრულების" საფუძველზე, გადახდები იწარმოებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის საფუძველზე. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი ზუსტად უნდა ასახავდეს გადასახდელი თანხის დანიშნულებას, როდენობას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის გამოწერის თარიღს და საბანკო რეკვიზიტებს.

5.4. "მხარეებს" შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6. ''მხარეთა'' პასუხისმგებლობა

6.1. ''ხელშეკრულებით'' განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მხარეები" პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული "მხარე" პასუხისმგებელია მეორე "მხარისთვის" მიყენებულ ზიანზე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. "მხარეები" თავისუფლდებიან "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება, განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, მესამე პირების მხრიდან "იჯარის საგნის" მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლის საფუძველზე შეუძლებელია "მხარეთა" მიერ ამ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

7.2. "მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყონებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

7.3. "მხარეთა" მიერ, "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების (პირობები) ჯეროვანი შესრულების აუცილებლობა, განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციისთანავე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. "ხელშეკრულების" შეწყვეტა დასაშვებია:

8.1.1. "ხელშეკრულების" ვადის ამოწურვის გამო;

8.1.2. ნებისმიერ დროს "მხარეთა" ურთიერთშეთანხმებით;

8.2. "მეიჯარეს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება":

8.2.1. თუ "მოიჯარე" არ ასრულებს ან და არაჯეროვნად ასრულებს "ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვალდებულებებს/პირობებს, "ხელშეკრულების" შეწყვეტამდე "მოიჯარისათვის" 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;

8.2.2. ნებისმიერ დროს, თუ 2 (ორი) თვით ადრე, წერილობით შეატყობინებს "მოიჯარეს" "ხელშეკრულების" შეწყვეტის/მოშლის თაობაზე, თუ "სპეციალური პირობებით" სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

8.3. "მოიჯარეს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება", თუ:

8.3.1. თუ "მეიჯარე" არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს "ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვალდებულებებს/პირობებს, "ხელშეკრულების" შეწყვეტამდე "მეიჯარისათვის" 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;

8.3.2. ნებისმიერ დროს, თუ 2 (ორი) თვით ადრე, წერილობით შეატყობინებს "მეიჯარეს" "ხელშეკრულების" შეწყვეტის/მოშლის თაობაზე, თუ "სპეციალური პირობებით" სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

8.4. "ხელშეკრულების" შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მხარეებს" "ხელშეკრულების" შეწყვეტამდე განხორციელებული შესრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მოვალეობისგან.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. "ხელშეკრულება" ძალაში შედის "მხარეთა" მიერ, მისი ("ხელშეკრულება") ხელმოწერის დღიდან (თუ "სპეციალური პირობებით" სხვა რამ არ არის განსაზღვრული);

9.2. "ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, "მხარეთა" შეთანხმებით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულების" რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას (სხვა მუხლების გაუქმებას);

9.4. "მხარეთა" შორის წარმოშობილი უთანხმოებანი, წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემ თხვევაში, სადავო საკითხს განიხილავს საქართვ ელოს შესაბამისი სასამა რთლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.5. "ხელშეკრულება" დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (თუ "სპეციალური პირობებით" სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "მოიჯარეს", ერთი ეგზემპლარი - "მეიჯარეს", ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს.

9.6. "ხელშეკრულება", მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა" შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

სპეციალური პირობები

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "იჯარის საგანია" შემდეგი უძრავი ქონება: თბილისი, ვეკუას ქ. №6; იჯარით გაიცემა სახურავზე არსებული სივრციდან 5 კვ.მ.
მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.071.

1.2. "იჯარის საგანს" "მოიჯარე" იყენებს სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა [illegible]. (შემდგომში: ''ტექნიკა'') განსათავსებლად.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. "ხელშეკრულება" ძალაში შედის ''მხარეთა'' შორის ''იჯარის საგანზე'' ''ტექნიკის'' განთავსების და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მოქმედებს 9 (ცხრა) თვის ვადით.

3. ''მოიჯარის'' უფლება – მოვალეობები

3.1. ''მოიჯარე'' უფლებამოსილია ''იჯარის საგანზე'' ჩაატაროს ყველა ის სამუშაო, რომელიც აუცილებელია ''იჯარის საგანზე'' ''ტექნიკის'' განთავსებისათვის და ''ტექნიკის'' გამართული, უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის;

3.2 ____________________

4. ''მეიჯარის'' უფლება-მოვალეობანი

4.1. ''მეიჯარე'' ვალდებულია:

4.1.1. ხელი არ შეუშალოს ''მოიჯარეს'' ''სპეციალური პირობების'' 3.1. პუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელებაში და ''მოიჯარის'' მოთხოვნისთანავე, დაუშვას იგი (''მოიჯარე'') ''იჯარის საგანზე'';

4.1.2. არ მოახდინოს ''ტექნიკასთან'' თვითნებურად რაიმე ფორმით/სახით წვდომა/''ტექნიკით'' თვითნებურად რაიმე სახით/ფორმით სარგებლობა, ასევე მესამე პირების მიერ ''იჯარის საგანთან''/''ტექნიკასთან'' რაიმე სახით/ფორმით თვითნებური წვდომა ან/და მესამე პირების მიერ ''ტექნიკის'' რაიმე ფორმით/სახით თვითნებურად სარგებლობა/გამოყენება;

4.1.3. არ მოახდინოს რაიმე ფორმით/სახით "ტექნიკის" ნორმალური/გამართული ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა (მათ შორის და არამხოლოდ: " ტექნიკისთვის" ელექტრო ენერგიით მომარაგების თვითნებურად შეწყვეტა/შეფერხება);

4.1.4. ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა, წარუდგინოს "მოიჯარეს" შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა / ინვოისი;

4.1.5. მისცეს " მოიჯარეს" უფლება შეუ ფერხებლად დაამო ნტაჟოს " იჯარის საგანზე " "სპეციალური პირობების" 5.7. პუნქტით გათვალისწინებული ერთ – ერთი მრიცხველი;

5. "საიჯარო ქირა" და გადახდის პირობები

5.1. ყოველთვიური "საიჯარო ქირა" შეადგენს 890 (ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. "საიჯარო ქირის" დარიცხვის ათვლა დაიწყება "მხარეთა" შორის "იჯარის საგანზე" "ტექნიკის" განთავსებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

5.2. "საიჯარო ქირის" გადახდა, ხდება ყოველი საანგარიშო თვის მომდევო თვის არაუგვიანეს 10 (ათი) რიცხვისა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ "მეიჯარის" მიერ საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა / ინვოისი წარმოდგენილი იქნა "სპეციალური პირობ ების" 4.4. პუნქტში აღნიშნულ ვადაზე გვიან, "საიჯარო ქირის" გადახდა მოხდება "მეიჯარის" მიერ საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4. "მოიჯარის" მიერ, "საიჯარო ქირის" გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, "ხელშეკრულებაში" მითითებულ "მეიჯარის" საბანკო რეკვიზიტებზე.

5.6. "საიჯარო ქირა" არ მოიცავს "მოიჯარის" მიერ მოხმარებულ ელექტრო ენერგიის გადასახადს. აღნიშნული გადასახადის გადახდა, ხდება "მოიჯარის" მიერ.

5.7. "მოიჯარის" მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის გადასახადის გადახდა, ხდება "მოიჯარის" მიერ ინდივიდუალურ აბონენტად დარეგისტრირებისა და შესაბამისი მრიცხველის ("მოიჯარის" სახელზე არსებული მრიცხველი) ჩვენების ან "იჯარის საგანზე" დამონტაჟებული ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების (ანათვალის) მიხედვით "მეიჯარისთვის", "მოიჯარის" შეხედულებისამებრ.

5.8. "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ანგარიშსწორება, შესაძლოა განხორციელდეს სხვა ფორმითაც.

"მოიჯარე"

(სს "სილქნეტი")

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE41BG0000000878415000

"მეიჯარე"

("შ.პ.ს „სპორტ ჯგუფი ალეგრო")

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE32BG0000000815273400

სს „თელასის'' ადმინისტრაციას

თანხმობა

გაცნობებთ, რომ სს ,,სილქნეტს'' და [illegible]'' შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მის: [illegible]

აღნიშნულიდან გამომდინარე [illegible] თანახმაა სს „სილქნეტი“ გახდეს სს „თელასი“–ს ქვეაბონენტი, მიიღოს ელ. ენერგია 5 კვტ./სთ ოდენობით და ანგარიშსწორება აწარმოოს დამოუკიდებლად, მის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის მიხედვით.

ხელმოწერა

[illegible]

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140316047

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2014 წ

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05012216861414

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე
მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზირი #5 ბ. 40
ტელეფონი: 270 48 73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის პირველ აპრილს, მე, ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. №5, ბ. 40, მომმართეს, გიორგი ნიჟარაძემ და გიორგი ნიჟარაძემ, რომლებმაც მოითხოვეს მინდობილობის ტექსტის შედგენა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (პირადობის მოწმობით) და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა გიორგი ნიჟარაძემ (დაბადებული 11.06.1986, პირადობის მოწმობა 81355767, პირადი ნომ: 53001014575 გაც: 2009-11-30წ. მის: **თბილისი ჟ.კალანდაძის ქ. N 4)** და გიორგი ნიჟარაძემ დაბადებული 19.11.1989, პირადობის მოწმობა 13IC45502, პირადი ნომ: 53001053272 გაც: 2013-11-22წ. მის: **წყალტუბო ს. წყალტუბო 28–ე I ჩიხი N 5)** მომმართეს. მათ განაცხადეს, რომ არან შპს „სპორტ კლუბი ათლეტი"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406108279) პარტნიორები და წილის 50-50 %-ის მფლობელები, აგრეთვე გიორგი ნიჟარაძემ დაბადებული 19.11.1989, პირადობის მოწმობა 13IC45502, პირადი ნომ: 53001053272 გაც: 2013-11-22წ. მის: **წყალტუბო ს. წყალტუბო 28–ე I ჩიხი N 5)** არის შპს „სპორტ კლუბი ათლეტი"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406108279) დირექტორი. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მათ წაუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი, მათაც წაიკითხეს და მოიწონეს ეს მინდობილობა და განაცხადეს, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და სურვილს, რის შემდეგ პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ჩვენ, გიორგი ნიჟარაძე (დაბადებული 11.06.1986, პირადობის მოწმობა 81355767, პირადი ნომ: 53001014575 გაც: 2009-11-30წ. მის: **თბილისი ჟ.კალანდაძის ქ. N 4)** და გიორგი ნიჟარაძე დაბადებული 19.11.1989, პირადობის მოწმობა 13IC45502, პირადი ნომ: 53001053272 გაც: 2013-11-22წ. მის: **წყალტუბო ს. წყალტუბო 28–ე I ჩიხი N 5)** როგორც შპს „სპორტ კლუბი ათლეტი"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406108279) პარტნიორები, წილის 50-50 %-ის მფლობელები და დირექტორი, ამ მინდობილობით, ქალბატონ ნანა რაზმაძეს (დაბად. 1987-10-08, პირადი ნომ: 31001025243, პ/ნ 07AD35021 გაც. 2007-05-14, მის: **მცხეთა წმინდა ნინოს ქ. N 32)** მივანიჭეთ შემდეგი უფლებამოსილებანი: ქალბატონი ნანა რაზმაძე უფლებამოსილია განახორციელოს ჩვენი, როგორც შპს „სპორტ კლუბი ათლეტი"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406108279) პარტნიორებისა და დირექტორის წარმომადგენლობა. იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში და მათ ნებისმიერ ფილიალში, მათ შორის პრო კრედიტ ბანკში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში; საბაჟო სამსახურებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სააღსრულებო ბიუროებში, შსს მომსახურების სააგენტოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნოტარიუსთან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, ნებისმიერ არქივში, ადმინისტრაციულ ორგანოებში და სხვა ორგანიზაციებში. იგი უფლებამოსილია, ჩვენი, როგორც შპს „სპორტ კლუბი ათლეტი"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406108279) პარტნიორებისა და დირექტორის სახელით სრულად მართოს და განკარგოს ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში ნებისმიერ ბანკში, ასევე სრულად მართოს და განკარგოს (შეასრულოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის გამოიტანოს, გადარიცხოს, შეიტანოს თანხები ნებისმიერი ოდენობით და ნებისმიერ ვალუტაში). სრულად იმოქმედოს ინტერნეტ ბანკთან დაკავშირებით, მიიღოს პაროლები, საბანკო ამონაწერები, ცნობები და ინფორმაციები და შესრულოს ნებისმიერი მოქმედება. იმოქმედოს საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადახდასთან, დეკლარაციების წარდგენა შევსებასთან დაკავშირებით. ნანა რაზმაძე ასევე უფლებამოსილია ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების მიზნით, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს

დოკუმენტები, ცნობები, მოაწეროს ხელი ჩვენს მაგიერად დოკუმენტებს განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს. გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, აგრეთვე გამოითხოვოს დოკუმენტები ნებისმიერი ორგანიზაციიდან, დამოწმებული ასლები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ავღნიშნავ, რომ არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს ნანა რაზმაძის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მისი უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. ნანა რაზმაძე უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების სრულად განხორციელების მიზნით.

მინდობილობა გაცემულია კონკრეტული ვადის მითითების გარეშე (უვადოდ) და ძალაშია მის გაუქმებამდე. გაცემულია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუს ე. ედიბერიძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მიმნდობ პირებს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 20 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელისმოწერა ———————————

ხელისმოწერა ———————————

ნოტარიუსი



ეკატერინე ედიბერიძე